

## რისმაგ გორდებიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო

### მედეას სახის უნივერსალურობისათვის ევრიპიდესთან

*საკვანძო სიტყვები: მედეა, იასონი, ევრიპიდე*

მედეას სახის განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზთა შესახებ უკვე ბევრია დაწერილი. დღეს მეტი მომხრე ჰყავს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, მედეას პოპულარობას შემდეგი გარემოება განსაზღვრავს: ის არის ქალი, რომელიც იბრძვის პატრიარქალური საზოგადოების წინააღმდეგ<sup>1</sup>. ჩემი აზრით, ევრიპიდეს ტრაგედია ქალთა მოდგმას γυναικείον γένος (416) და კაცთა მოდგმას ἀρσένων γένος (429) ოპოზიციურ წყვილად წარმოგვიდგენს, რომელშიც კაცთა მოდგმა აღჭურვილია უარყოფი ფუნქციით. მედეას აქ ქალთა მოდგმის პროტაგონისტის როლი ეკისრება, რომელმაც დაპირისპირებული ოპოზიციური წევრის ნეიტრალიზაცია უნდა მოახდინოს. იასონის შემოსვლის წინ, პირველ სტასიმონში, გუნდის სიმღერაში აღწერილია სამყაროში მომხდარი ის გარდატეხა, რომელმაც ყოველივე თავდაყირა დააყენა, როდესაც წმინდა მდინარეებმა აღმა სვლა იწყეს, როდესაც სამართალი და ყოველივე უკუღმა მიემართება. (410-411) „... წავიდა ფიცის მადლი, დიდი ელადა დატოვა სირცხვილმა,

---

<sup>1</sup> Onea 2017, 161

და ეთერში გაიფანტა“ (439-441), ყოველივე ამაში კი კაცთა მოდგმა დამნაშავე, რომელიც აქამდე აედების მიერ მხოლოდ ქალთა მოდგმის ვერაგობაზე მოთხრობილი ამბებით კმაყოფილდებოდა. თუმცა იწყება გარდატეხა, ქალთა მოდგმას უჩნდება რწმენა, რომ

„მის სახელს განადიდებს  
 მოკვდავთა შორის დარჩეული ხმა  
 ქალთა მოდგმას პატივს მიაგებს  
 და აღარ იტყვიან აუგს ქალებზე“. (415-420)

ეს რწმენა საზრდოობს მედეასთან დაკავშირებული მოვლენების განვითარებით. ჯერ კიდევ ჰესიოდესთან<sup>2</sup> ღვთაებათა კონტექსტში მოქცეული მედეა ევრიპიდესთან ქალთა ღირსების დამცველ ძირითად ფიგურად ტრანსფორმირდება. ევრიპიდე მედეას აღჭურავს იმ თვისებათა ერთობლიობით, რომლებიც ამ ფუნქციის აღსასრულებლად არის აუცილებელი, ამ თვისებათა აქცენტირებას ევრიპიდე ახდენს როგორც მოქმედების განვითარებით, ასევე პროტაგონისტის სხვათა მიერ დახასიათებით ან თვითშეფასებით.

თუკი მოვინდომებთ მედეას ამ თვისებათა თუ მახასიათებელთა რანჟირებას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ევრიპიდე მას ყველა იმ თვისებით აღჭურავს, რომელიც აუცილებელია ქმარსა და მამაკაცთა საზოგადოებასთან დაპირისპირებული, შურისგების წყურვილით აღსავსე ქალისათვის თავისი მიზნის მისაღწევად. ამ თვისებათა ნუსხა ამგვარ სახეს მიიღებდა:

---

<sup>2</sup> West 1978, 429

1) ძნელად დასამარცხებელი, ძიძა ახასიათებს მედეას, როგორც მრისხანებაში სასტიკს და წინ წამოსწევს მის ერთ თვისებას:

„მასთან შებმა რთულია ერთობ,  
რადგანაც მის მტერს გამარჯვება არ უწერია“ (44-45)<sup>3</sup>

2) ჰელიოსის შთამომავლობა და ჯადოქრობა. მედეას ძალა არსებითად საზრდოობს ჰელიოსის შთამომავლობით, რომელმაც იგი ჯადოქრობის ნიჭით დააჯილდოვა (სტრ. 400-485, 486).

3) ქალთა უფლებრივი მდგომარეობით გამოწვეული პროტესტის მძაფრი გრძნობა, რაც ძალზე რელიეფურად არის გამოკვეთილი მის სიტყვაში კორინთოსელი ქალების მიმართ – „ამ ქვეყნად რაც კი რამ არსებობს, სუნთქავს, აზროვნებს, მათ შორის სხვებზე უბედურნი ვართ ჩვენ, ქალები“ (230-231).

4) ცოლ-ქმრული ფიცის გატეხვის მოძულე. მედეას მძვინვარება ეფუძნება მის საოცარ ერთგულებას ქმრისა და ქორწინებისას დადებული ფიცის მიმართ. ტრაგედიაში არაერთგზის ესმის ხაზი, თუ რაოდენ შეუფუებელია მედეა ქმრის ღალატის მიმართ, რამდენადაც ოჯახში ქმარი სავსებით განსაკუთრებულ ფიგურას წარმოადგენს (14-16). იასონმა კი, თავისი საქციელით, ვნების სიამოვნებას მიანიჭა უპირატესობა (88).

5) სარეცლის შებღალვის ვერამტანი. მედეას მოქმედების ლოგიკურობა ეფუძნება მასში ჭეშმარიტი ქალური ემოციების სიჭარბეს, თავად იგი და ტრაგედიის სხვა მონაწილენი არაერთგზის აღნიშნავენ, თუ რას ნიშნავს ქალისთვის ქმრის მიერ სარეცლის შებღალვა.

---

<sup>3</sup> ევრიპიდე 2017

„... ქალი მაინც მხდალია,  
 ბრძოლაც აშინებს და მახვილიც აშფოთებს, მაგრამ  
 თუ სარეცელი წაუბილწეს, არვინ იქნება  
 სხვა მასზედ უფრო მძვინვარე და სისხლისმწყურვალი“.

(262-265)

6) ქმარზე თავდავიწყებით შეყვარებული. სიყვარული ტრაგედიაში განვითარებული მოქმედების მამოძრავებელი ძალაა. გუნდის სიმღერაში, რომელიც სიყვარულის ერთგვარ ჰიმნს წარმოადგენს, ნამეტნავი სიყვარულია მიჩნეული ზიანისა და უბედურების მომტანად, ხოლო ზომიერი – დიდი ბედნიერებისა (627-630).

7) საკუთარი ღირსების დამცველი. მედეას მდგომარეობა ტრაგედიაში არაერთგზის არის განსაზღვრული როგორც პატივყრილი (20-33-438-696-1354). იგი გრძნობს საკუთარ თავში ძალასა და ვალდებულებას სასტიკად დასაჯოს მისი ამ მდგომარეობაში ჩამდები ყველა პირი, იასონის ახალი საცოლვე, მისი მამა და თავად იასონიც. ამ სტიმულს მედეას აძლევს ის ამბიცია, რომელიც მას საკუთარმა წარმომავლობამ განუვითარა.

8) ქმრის ღალატით გამოწვეული მრისხანების გამო საკუთარი შვილების მკვლელი. მედეას ზღვარგადასულ მძვინვარებას ტრაგედია შემდეგი არგუმენტით ამყარებს – „საშინელია ის რისხვა და ჩაუცხრომელი, როდესაც მოყვარე მოყვარეთ შუღლით დაუპირისპირდება“ (520-521).

ანტიკურობიდან მოყოლებული კამათია იმაზე, თუ რამდენად ნოვატორია ევრიპიდე ტრაგედიაში შვილების დახოცვის მოტივის შეტანით. ვფიქრობ, ლაკონურად და ამომწურავად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ელიანემ თავის „ჭრელ-ჭრელ ამბებში“: „ზოგიერთი წყაროს თანახმად, მედეაზე გავრცელებუ-

ლი ხმა მცდარია. მან კი არა, არამედ კორინთოსელებმა მოკლეს მათი შვილები, ხოლო მითი კოლხიდაზე ისევე როგორც თავად ტრაგედია, ევრიპიდემ კორინთოსელთა თხოვნით მოიგონა. პოეტის ოსტატობა გახდა იმის მიზეზი, რომ მოგონილმა ამბავმა დაამარცხა სინამდვილე, ხოლო მედეას შვილების წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო კორინთოსელები როგორც გადმოგვცემენ, მათ საფლავთან სწირავენ მსხვერპლს, რითაც უდანაშაულო დაღუპულების წინაშე სათანადო ვალს იხდიან“ (V, 21).

არ არის ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება თანამედროვე მეცნიერებაშიც. უკანასკნელ ხანებში სარა ჯონსტონმა<sup>4</sup> წამოაყენა ბერძნულ ტრადიციაში ორი მედეას არსებობის თვალსაზრისი. ერთი იყო კორინთოსელი მედეა, ხოლო მეორე – კოლხი მედეა. იგი ეყრდნობა პავსანიასის ცნობას (3, 6,11) და არისტიდეს „პანათენაიკოსის“ სქოლიასტის კომენტარს, რომელიც ასე გადმოსცემს მორმოს ამბავს: „მორმო იყო კორინთოსელთა ქალი, რომელმაც ერთ ღამეს თავისი ბავშვები შთანთქა და შემდეგ გაიქცა“.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, კორინთოსში კრეონსა და მის ასულზე სასტიკი შურისგების შემდეგ, მედეამ კორინთოსი დატოვა ბავშვებთან ერთად, თუმცა მათი მცირეწლოვნების გამო ისინი აკრაიელი ჰერას ტაძართან დატოვა იმის იმედით, რომ ქალღმერთის ტაძარს შეფარებული ბავშვები ხელშეუხებელნი იქნებოდნენ, თუმცა კრეონის ახლობლებმა ამას არ გაუწიეს ანგარიში და ბავშვები ამოხოცეს, ხოლო გაავრცელეს ხმა, თითქოს საკუთარი შვილები მედეამ მოკლა ქმარზე ეჭვიანობის გამო. ამის შემდეგ მედეას წყევლის გამო კორინთოსელებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: მათი ბავშვები ჩვილობის ასაკშივე იხ-

<sup>4</sup> Clauss and Johnston 1997, 44-70; West 1978, 243

ოცებოდნენ. ცოდვის გამოსყიდვა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც კორინთოსელებმა ყოველწლიური მსხვერპლშეწირვით მედეას შვილების პატივის მისაგებელი რიტუალი დააწესეს.

აქედან გამომდინარე, ჯონსტონი ვარაუდობს, რომ საკუთარი შვილების დახოცვის ელემენტი ევრიპიდემ ტრადიციაში არსებული რამდენიმე მომენტის გათვალისწინებით შემოიტანა: ა) კორინთოსელების მიერ მედეაზე გავრცელებული ხმების გავლენით; ბ) კორინთოსელი შვილების მშთანთქმელ მორმოს ამბის გავლენით, რისი აღმნიშვნელი ძეგლიც შემზარავი ქალისა, ანუ, ფაქტობრივად, საფრთხობელასი, კორინთოსში უნდა აღმართულიყო სადღაც მედეას შვილების ძეგლის მახლობლად. დროთა განმავლობაში აქ არსებულ ტაძარში მორმოს კულტი ჩანაცვლა აკრაიელი ჰერას კულტმა, რაც არქეოლოგებმა გასული საუკუნის 30-იან წლებში კორინთოსის პარახორას მიდამოებში ძვ.წ. VIII ს. ტაძრის აღმოჩენით დაადასტურეს, რომელზეც აკრაიელი ჰერას სახელის აღმნიშვნელი წარწერა გამოვლინდა<sup>5</sup>.

ჩემი აზრით, ევრიპიდეს ნოვატორობა სწორედ კორინთოსელთა შორის არსებული ტრადიციის მოტივების გამოყენებით, მედეას მითოლოგიური სახის ჭეშმარიტ ტრაგიკულ სახედ ტრანსფორმირება იყო.

ახლა დავუბრუნდეთ მედეას სახის უნივერსალურობის ამ სახველ ზოგიერთ სხვა ნიშანს.

9) შვილების სიყვარულსა და შურისგების წყურვილს შორის გაორებული. ტრაგედიაში განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა ის თემა, როდესაც მედეას სულში ხდება ბრძოლა დედობრივ სიყვარულსა და შურისგებისკენ ლტოლვას შორის. მე-

<sup>5</sup> Dunbabin 1951, 61-71

დეა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არა იმდენად ემოციური იმპულსებით ხელმძღვანელობს, რამდენადაც ლოგიკური არგუმენტით, რისი არსიც შემდგომში მდგომარეობს: „ვფიცავ, რომ შვილებს არ დავტოვებ, უწმინდურებმა რათა არ ავნონ, არ დატანჯონ, არ შეურაცხყონ“ (1059-1060). სწორედ აქ ვლინდება მედეას ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი – რადიკალიზმი, რაც მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას გულისხმობს.

10) სამშობლოს გარეშე დარჩენილი. ტრაგედიაში არაერთგზის ესმის ხაზი იმას, თუ რაოდენ ძნელია სამშობლოს გარეთ უცხოებაში ცხოვრება. უფრო მეტიც, ტრაგედიაში სრულიად კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ ყველაზე დიდი სატანჯველი არის უსამშობლოდ ყოფნა: „სატანჯველთაგან არაფერია სამშობლოს დაკარგვაზე უფრო მეტი“ (650-651). ტრაგედიაში უცხო, ფაქტობრივად, ბარბაროსის ტოლფასია, იასონი დარწმუნებულია, რომ საკუთარი შვილების დახოცვა მხოლოდ ბარბაროსს შეეძლო, ხოლო ელინი ქალი ამას არასოდეს ჩაიდენდა (1339). თუმცა თავად კორინთოსელი ქალები, რომლებიც ტრაგედიაში ქოროს სახით არიან წარმოდგენილნი, თვლიან, რომ იასონმა ღალატი და უსამართლობა ჩაიდინა და სრულიად აშკარად უცხადებენ მედეას სოლიდარობას. კორინთოსელ ქალთა კორიფე ასე მიმართავს იასონს: „მე ასე ვფიქრობ, შენ უღალატე მეუღლეს და არ ხარ მართალი“ (577-578). რასაკვირველია, აქ ჩამოთვლილი შტრიხები არ ამოწურავენ მედეას ხასიათს, თუმცა ისინი იმდენად უნივერსალურნი არიან, რომ „მედეას“ რეციპირების ყველა მსურველს შესაძლებლობას აძლევენ საკუთარი ნაწარმოების მაგისტრალურ ხაზად მის ეპოქაში არსებული აქტუალური პრობლემატიკის შესაბამისად ერთ-ერთი მათგანი აქცი-

ონ. ქვემოთ შევეცდები ვაჩვენო, ეპოქათა ცვლილებების პარალელურად, რომელ მათგანს ირჩევდნენ ხელოვანნი ამგვარ წამყვან მოტივად.

შეიძლება ითქვას, რომ ევრიპიდეს შემდგომი ლიტერატურა მედეას სახის მხატვრული ხორცშესხმისას ბერძენი ტრაგიკოსის პათოსით საზრდოობს. აპოლონიოს როდოსელთან „არგონავტიკაში“ ორი მომენტია წინ წამოწეული. მედეას სიყვარული იასონის მიმართ და მედეას ჯადოქრობის ყოვლისშემძლეობა. იგივე ორი მოტივი დომინირებს ოვიდიუსთანაც. მასთან თავად სახელმა – მედეა – უკვე სავსებით გამოკვეთილი სიმბოლოს სახე მიიღო. მედეა გახდა სინონიმი ჯადოქრობისა და სასტიკი შურისგებისა. „ჰეროიდების“ VI წერილში ჰიპსიპილე იასონს ახსენებს, რომ იგი მისი კანონიერი ცოლია, რომ გრძნეული მედეას ცოლად მოყვანა მისი დანაშაული და შეცდომა იყო. მედეა ამ წერილში წარმოდგენილია ჯადოქრად, რომელსაც ძალუძს თავად მთვარესა და მზეს მოძრაობის გეზი შეუცვალოს. იმის წარმოდგენისას, თუ როგორ მოიქცეოდა ჰიპსიპილე იმ შემთხვევაში, თუკი იასონი კოლხეთიდან უკან დაბრუნებისას კვლავ ლემნოსზე აღმოჩნდებოდა, ლემნოსის დედოფალი ამბობს: *Medeae Medea forem* (მედეასთვის მედეა გავხდებოდი)<sup>6</sup>. ამ შემთხვევაში მედეას სახელს სავსებით გამოკვეთილი დატვირთვა აქვს. ჰიპსიპილე ისეთივე შურისმაძიებელი გახდებოდა მეტოქის მიმართ, როგორც მედეა იყო ევრიპიდეს მიხედვით. მედეას სიყვარულისა და ჯადოქრობის მოტივი ასევე მკაფიოდაა გამოკვეთილი მედეას წერილში იასონისადმი (XII). პირველსავე სტრიქონებში ხაზგასმულია ის, რომ მედეამ თავისი სიყვარული იასონისადმი გამოხატა იმ მხარდაჭერით, რისი შესაძლებ-

<sup>6</sup> Hoffmann 2000



ლობაც მას ჯადოქრობის ნიჭმა მისცა. ევრიპიდესგან გადმოტანილი ეს ორი მოტივი – სიყვარული და ჯადოქრობა დასტურდება „მეტამორფოზებშიც“ (VII).

ჯადოქრობის მოტივს კიდევ უფრო ამძაფრებს სენეკა თავის „მედეაში“, რომელიც უკვე აშკარად ევრიპიდეს ტრაგედიის ბრწყინვალე რეციპირებას წარმოადგენს. აქ იასონზე შეყვარებული კოლხი ქალი ჭეშმარიტ ფურიად იქცევა და იგი თავისი შურისგების სისასტიკით ევრიპიდესაც კი აჭარბებს. მედეას მთელი არსის გადმომცემი გამოთქმა *Medea fiam* (მედეა ვიქნები, 171) უკვე იმდენად მრავლის მთქმელია, რომ იგი შემდგომი ხანის ზოგიერთი შემოქმედისათვის მათი ნაწარმოების პათოსის განმსაზღვრელ ფრაზად თუ ეპიგრაფად იქცა (ლესინგი, კრისტა ვოლფი). კიდევ უფრო ძლიერად ჟღერს მედეას სახელი მის უკიდურესი მძვინვარების დროს წარმოთქმულ ფრაზაში *Medea nunc sum* (მედეა ახლა ვარ, 910).

შუა საუკუნეებსა და ადრეული რენესანსის ეპოქაში საზოგადოების განსაკუთრებული პატივისცემის გამო ცოლ-ქმრული ერთგულების მიმართ იასონისა და მედეას კონფლიქტში ერთგულების დამრღვევი იასონი ნეგატიურ, ხოლო ერთგული მედეა – მასთან დაპირისპირებულ პოზიტიურ ფიგურად წარმოგვიდგება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფიცის ერთგულება ევრიპიდეს მედეას ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს. მისი ექსპონირება ერთგულ ცოლად ხდება XIII საუკუნის ავტორის კონრად ფონ ვიურცბურგის „ტროელთა ომში“. დანტეს „ჯოჯოხეთის“ XVIII სიმღერაში, რომელშიც მედეას ღალატის გამო იასონი გამოქვაბულშია გამომწყვდეული. ფაქტობრივად, ამავე პათოსს ვხვდებით ბოკაჩოს „ქალღმერთთა გენეალოგიაში“, „ცნობილ ქალთა შესახებ“-ში, „დეკამერონში“.

მედეას პოზიტიურ პლანში წარმოდგენა გრძელდება ჯეფრი ჩოსერის „კარგი ქალების ლეგენდებში“ (1385). პირველი ქალი ავტორი, რომელიც მედეას თემას შეეხო იყო გვიან შუა საუკუნეებში მოღვაწე იტალიური წარმოშობის ფრანგი მწერალი კრისტინა პიზელი. იგი თავის ნაწარმოებში „წიგნი ქალთა ქალაქის შესახებ“ (1404-5) მედეას წარმოგვიდგენს ძირითადი თეზისის არგუმენტად „ქალი კაცს არაფერში უდებს ტოლს“. მასთან მედეა გამორჩეულია თავისი მეცნიერული ცოდნით, ინტელექტით, ერთგულებითა და ძლიერი შეყვარების უნარით, რითაც იგი ეხმიანება ჩემ მიერ ზემოთ გამოყოფილ მედეას ხასიათის შტრიხს – პროტესტი ქალთა უთანასწორობის მიმართ პატრიარქალურ საზოგადოებაში.

დამოკიდებულება მედეასადმი იცვლება ფრანგული ტრაგედიის მამის, კლასიციზმის პიერ კორნელის სენეკას „მედეაზე“ ორიენტირებულ ამავე სახელწოდების ტრაგედიაში. აქ მედეა წარმოგვიდგება დედად და მეუღლედ, რომელიც ერთდროულად განადგურებელიც არის და გამნადგურებელიც<sup>7</sup>. შესაბამისად, აქ გარკვეულ თანაღმობას იმსახურებს როგორც თავად მედეა, ასევე იასონიც, რომელიც კორნელის მიერ შემოთავაზებული სიახლის წყალობით, პიესის ბოლოში თავს იკლავს. თავისი მხატვრული ღირსებებით ანტიკურ წინამორბედებთან ძალზე დაშორებულმა ამ პიესამ ლიტერატურაში კვლავ დააბრუნა და აქტუალური გახადა მედეას მიერ შვილების დახოცვის თემა. თუმცა ამის პარალელურად მატულობს მედეას დამცველთა რიგებიც. საქმე იქამდე მიდის, რომ ბენიამინ ჰედერიხი თავის საფუძვლიან მითოლოგიურ ლექსიკონში (1724)<sup>8</sup>, მედეას ახსნის

<sup>7</sup> Lütkehaus 2006, 319 შმდ.

<sup>8</sup> Hederich 1724

ყველა ცოდვას და ახდენს როგორც მისი, ასევე საერთოდ მითოლოგიის განჯადობას. ევრიპიდესთან წინ წამოწეული დედობრივი სიყვარულის თემა თავის გაგრძელებას ლესინგის „ლაოკონსა“ და „მის სარა სამჰსონში“ ჰპოვებს. ფრიდრიჰ ვილჰელმ გოტერი ბავშვების მკვლელობას დედობრივი სიყვარულის ერთგვარ გამოვლინებად თვლის, რადგან მისი „მედეას“ მიხედვით, სიკვდილი საჩუქარია. შესაბამისად, შვილების მკვლელობა და დედობრივი სიყვარული უნდა გაერთიანდეს. მედეას მითის სიუჟეტის პარადოქსულ ცვლილებას ახდენს მაქსიმილიან კლინგერი თავის პიესაში „მედეა კორინთოსში“ (1786). იგი გამოიყენებს ევრიპიდესთან აქცენტირებულ ჰელიოსის ეტლის თემას, თუმცა ამ ეტლით მედეა ათენში კი არა, არამედ კოლხეთის სიახლოვეს, კავკასოსზე მიფრინავს.

ევრიპიდეას „მედეაში“ მიმდინარე კონფლიქტი დედობრივ გრძნობასა და შურისგებას შორის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საოპერო ხელოვნებისათვის. მრავალრიცხოვან ოპერას შორის შეიძლება გამოვარჩიოთ ლუიჯი ქერუბინის „მედეა“, რომლის ლიბრეტო ფრანსუა ბენუა ჰოფმანს ეკუთვნის. ოპერაში ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, დედა და გული, მეორე მხრივ, გამარჯვებული ფურიები, რაც მედეას სიგიჟის კულმინაციას წარმოადგენს.

მომდევნო ეპოქებში გრაფი იულიუს ფონ სოდენი თავის „მედეაში“ (1814), ფრანც გრილპარცერი თავისი ტრილოგიის „ოქროს საწმისის“ III ნაწილში „მედეა“, ფრიდრიჰ ნიცშე „მედეას შესახებ“, „იასონი და მედეა“, გოტფრიდ კელერი „საშინელი მოვლენა“, პაულ ჰეისე ნოველაში „მედეა“ წინა პლანზე წამოწევენ ფსიქოპათოლოგიის მოტივს, რომელიც გარკვეულწილად ასევე ევრიპიდედან იღებს დასაბამს და სენეკასთან თავის კულ-

მინაციას აღწევს. XX საუკუნეში მედეას ფიგურა ფსიქიატრთა და ფსიქოანალიტიკოსთა ყურადღებას იპყრობს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრიც ვიტტელის წიგნი „ფსიქოანალიზი და ლიტერატურა“ (1944). 1948 წელს ფსიქიატრი ედვარდ ს. სტერნი ტერმინოლოგიურ ფორმულას უმეზნის მედეას ქმედებას – „მედეას კომპლექსი“<sup>9</sup> და მის ამგვარ დეფინიციას ახდენს: „სიტუაცია, რომელშიც დედა ინახავს სიკვდილის სურვილებს თავისი ნაშიერის მიმართ, ჩვეულებრივ, როგორც შურისგების რევანშს მამის წინააღმდეგ, რაც ქალური დესტრუქციულობის გამოვლენას წარმოადგენს“.

II მსოფლიო ომმა ევროპელთა მენტალიტეტის არსებითი ცვლილება გამოიწვია. წინა პლანზე წამოიწია ომისა და მშვიდობის თემატიკამ. ჩამოყალიბდა აზრი, რომ კაცებში არსებულ ომის ჟინის კოდის ოპოზიციას წარმოადგენს ქალებში არსებული მშვიდობისმოყვარეობის კოდი. ამან დღის წესრიგში დააყენა იგივე პრობლემა, რასაც ევრიპიდე ესოდენ გამოკვეთილად გადმოგვცემს მედეას მიმართვაში კორინთოსელი ქალებისადმი: ქალთა უთანასწორო მდგომარეობა და შეზღუდული უფლებები მამაკაცებისგან მართულ საზოგადოებაში. გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ამ დროიდან მედეას თემის მხატვრულ დამუშავებაში თუ მეცნიერულ ინტერპრეტაციაში შეინიშნება იმ ქალი დრამატურგებისა თუ მკვლევრების დომინანტურობის მკვეთრი ზრდა, რომლებიც მედეას აპოლოგიას ეწევიან ამართლებენ და ბოლოს და ბოლოს მას ფემინისტური მოძრაობის ერთგვარ სიმბოლოდ აქცევენ. ამ აპოლოგეტური ხასიათის ტექსტებიდან ჩვეულებრივ გამოყოფენ სილვია პათის „კიდეს“, ჰელგა ნოვაკის „წერილი მედეას“. ამავე პათოსითაა გაჟღენთილი ურსულა ჰა-

<sup>9</sup> Stern 1948, 94, 321-331

ასის „მედეას დასაცავი სიტყვა“, დაგმირ ნიკის „მედეა, მონოლოგი“, რაინერ მიულერის „მედეა მასალა“, კრისტა ვოლფის „მედეა ხმები“ და გარკვეულწილად ლუდმილა ულიცკაიას „მედეა და მისი შვილები“. როგორც ვხედავთ, ჩვენს ეპოქაში ქალებთან ერთად საკმაოდ აქტიურად ფიგურირებენ მედეას დამცველთა რიგებში მამაკაცებიც. მედეას პოპულარობის დამამტკიცებლად ყოველი შემთხვევისათვის საქართველოში ამგვარი ფაქტი შემიძლია დავასახელო. თავის დროზე ანუის „მედეაში“, რომელშიც წინა პლანზე ქორწინების რღვევაა წამოწეული, იასონი ამბობს: „საცოდავი მედეა, რომელიც ვერასდროს გამოვა საკუთარი თავიდან, საცოდავი მედეა, რომელიც სამყაროსათვის მუდამ მხოლოდ მედეაა. არასოდეს იქნება მეორე მედეა. არასოდეს დაარქმევენ დედები თავიანთ შვილებს ამ სახელს“. საკმარისია, თვალი გადავავლოთ ქართველი ქალების სახელებს, რომ დავრწმუნდებით, რაოდენ მწარედ შეცდა იასონი ანუის ტრაგედიაში.

თანამედროვე ეპოქაში შეინიშნება ევრიპიდესთან აქცენტირებული ზოგიერთი სხვა შტრიხის აქტუალიზაცია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება დევნილობის, უცხოობის პრობლემას. ევრიპიდესთან ეს საკითხი წამოწეულია და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამშობლოს გარეთ დარჩენა, დევნილობა ყველაზე დიდ უბედურებად ითვლება. სავსებით გასაგებია, რომ XX საუკუნეში, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გადაიტანა და ხალხთა მასობრივი გადაადგილების საფუძველი შექმნა, არაერთგზის მოხდა ამ მოტივის ინტენსიფიკაცია ევრიპიდეს „მედეას“ რეციპირებისას. ჩვენს ეპოქაში ძალზე ხშირად ძველად შექმნილი კლასიკური ნაწარმოებების რეციპირებისას მიმართავენ პერსონაჟთა და სიუჟეტის გათანამედროვეების ხერხს. ჯერ კიდევ 1934

წ. ბერტოლდ ბრეხტმა, რომელსაც გერმანიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო არაერთგზის მოუხდა ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილება, წერს ლექსს „მედეა ლოძიდან“<sup>10</sup>: „აქ არის ძველი ლეგენდა / ერთი ქალის შესახებ, სახელად მედეა. / ის ათასი წლის წინ მოვიდა უცხო ნაპირზე / ქმარმა, რომელიც მას უყვარდა, მოიყვანა იგი აქ. / მან უთხრა, შენ სახლში ხარ, იქ, სადაც მე ვარ სახლში. / ის ლაპარაკობდა სხვა ენაზე, / მაშინ როცა ადამიანებს იქ რძის, პურის და სიყვარულის გამოსახატავად სხვა სიტყვები ჰქონდათ, / მას სხვაგვარი თმა ჰქონდა და დადიოდა სხვა სიარულით. / აქ ვერასოდეს მოშინაურდა, მას ამრეხით უყურებდნენ. / რა დაემართა მას, ჰყვება ევრიპიდე. მისი მძლავრი ქოროები მღერიან / მოწამლვის პროცესის შესახებ. / მხოლოდ ქარი ქრის ჯერ კიდევ არასტუმართმოყვარე ქალაქის ნანგრევებზე. / და ფერფლი და ქვა, რომლითაც მან უცხო გააქვავა. / ახლა ჩვენ შიგადაშიგ გვესმის, დადის ხმები, ჩვენი ქალაქები ახალმა მედეებმა მოინახულეს. / ტრამვაის, ავტომობილებსა და მიწისზედა მეტროს შორის ძველი ყვირილი გაისმის“ (1934-ში ჩვენს ქალაქში, ბერლინში).

ახლა არ მინდა შევცხო საკამათო საკითხს, თუ რატომ განაზოგადა ბრეხტმა პოლონეთის ეს ქალაქი უცხოებით ანუ მედეებით ავსებულ არასტუმართმოყვარულ ქალაქად<sup>11</sup>. მაგრამ ფაქტია, რომ ამ ლექსში უკვე გამოკვეთილია სხვა გარემოში მოხვედრილი უცხოელის გულისტკივილი.

იგივე თემას ეხება მაქს ცვაიგის „მედეა პრადაში“ (1949), რობინსონ ჯეფერსის „მედეა“ (1948), მათიას ბრაუნის „მედეა“, დეა ლოჰერის „მანჰეტენელი მედეა“ (1999), რომელსაც მოქმედება

<sup>10</sup> Brecht 1993, 240

<sup>11</sup> Onea 2017, 179 შმდ.

თანამედროვე ნიუ-იორკში გადააქვს და ნიელ ლაბუტეს „დაბრუნებული მედეა“ (1999). ეს ერთაქტიანი პიესა, რომელშიც მრავალი ამორალური ანტიგმირია გამოყვანილი, ამერიკულმა მედიამ, ისევე როგორც ამ მწერლის ზოგიერთი სხვა ნაწარმოები, „ყველაზე მეტად განრისხებული თეთრკანიანი კაცის“ ქმნილებად ჩათვალა.

სავსებით თავისებურ რეცეფციას გვთავაზობს ქართული წარმომავლობის გერმანულენოვანი მწერალი ნინო ხარატიშვილი თავის პიესაში „ჩემი და შენი გული (მედეა)“ – 2008. მის პიესაში ინტენსიფიცირებულია ევრიპიდეს ტრაგედიის კიდევ ერთი მოტივი – სიყვარული და ტრაგედიის რეალური მოქმედების ფინალამდე წარმოდგენილია არა მარტო მედეას ძლიერი სიყვარული იასონისადმი, არამედ თავად იასონის არანაკლებ ძლიერი საპასუხო გრძნობა მედეასადმი. საერთო სიყვარულისა და კეთილგანწყობის ფონზე, რომელიც პიესაში სუფევს, გასაკვირი არ არის, რომ მედეა იასონის ახალი ცოლის – გლაკესადმი კეთილგანწყობილ ქალად და, გარკვეულწილად, მასზე მზრუნველადაც წარმოგვიდგება. ყოველივე ის, რაც შემზარავია, გატანილია რეალური მოქმედების მიღმა და უხმოდ არის გათამაშებული ისევე, როგორც ეს ანტიკურ ტრაგედიაში ხდებოდა, როდესაც პიესის ტრაგიკული კონფლიქტის კულმინაციური მომენტის თხრობა ხდება მაცნის ან სხვა პერსონაჟის მიერ და პარალელურად მიმდინარეობს მიმოსის ენით ამ ეპიზოდის განსხეულება. მედეას სახის თავისებურ გააზრებას გვთავაზობს ჰანს ჰენრი იანის „მედეა“ (1926), რომელშიც ტრაგიკული კონფლიქტის საფუძველს ქმნის ის, რომ მედეა, რომელიც აქ მულატად არის წარმოდგენილი, თავისი მაგიური შესაძლებლობებით იასონს მარადიულ ახალგაზრდობას ანიჭებს, ხოლო ამის ფონ-

ზე კი მიმდინარეობს მისი დაბერება, ჭკნობა და გარეგნული დეფორმაცია. ეს კი თავის მხრივ, განაპირობებს პიესაში სოდომურ-მაზოხისტური ელემენტების აქცენტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვეობაში შეინიშნება ამბის, ევრიპიდესეული სიუჟეტის კორექციის ტენდენციები მაშინაც, როდესაც მწერალი, ფაქტობრივად, ბერძენი ტრაგიკოსის მიბადვით ახალ ნაწარმოებს ქმნის და მაშინაც, როდესაც რეჟისორი თავად ევრიპიდეს ტრაგედიის ახალ დადგმას გვთავაზობს<sup>12</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედეას თემის დამუშავებისას XX-XXI საუკუნეებში შეინიშნება მისი გამართლების ტენდენცია. ეს ხდება ან ისევ და ისევ ანტიკური წყაროების გათვალისწინებით, ან მედეას მოქმედებისათვის არგუმენტირებული გამართლების მონახვით. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ჰელგა მ. ნოვაკის „წერილი მედეას“ (1977) ამ წელს გარდაიცვალა მედეას როლის საუკეთესო შემსრულებელი მარია კალასი, რამაც სტიმული მისცა ამ ლექსის დაწერას.

„მედეა, შენ მშვენიერო, ნუ დაითრგუნები 40 ტალანტისათვის, რომელიც მან მიიღო ქალაქ კორინთოსიდან. ამის საზღაურად დამწერმა, რომ თითქოს შენ გბრალდება ბავშვების დახოცვა. მე ვლაპარაკობ ევრიპიდეზე, ხომ გესმის. აქედან მოყოლებული ნადირობენ შენზე ლიტერატურები, როგორც მკვლელზე, ფურიანზე, უწმინდურზე, თუმცა მე შენ კარგად გაგიგე. ვისაც არაფერი აქვს ფეხზე შებმული, უკეთ სირბილი შეუძლია. მაგრამ მე არ მსურს დავინახო, რომ დანაშაულის ჩამდენი საზოგადოება თავის სისხლიან ხელებს შენს კაბას აწმენდს“. ამ აპოლოგეტური ნაწილის შემდეგ პოეტი ლექსს შემდეგი

---

<sup>12</sup> Strauss 2016



სტრიქონით ამთავრებს: „და რა მინდოდა მე შენთვის კიდევ მე-ამბნა. კალასი მოკვდა“<sup>13</sup>.

ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია იმ სურათის სრულად აღდგენა, თუ როგორი განვითარება ჰპოვეს ევრიპიდეს მიერ აქცენტირებულმა მოტივებმა მის შემდგომ მხატვრულ კულტურაში. ამით დაინტერესებულ პირებს ვურჩევდი Ludger Lütkehaus-ის 2006 წელს გამოცემული წიგნის *Mythos Medea* და 2017 წელს დასტამბული *Catalina Ene Onea*-ს წიგნის *Medea der Gegenwart. Formen und Funktionen des Medea-Mythos in literarischen Texten nach 1945 in interkultureller Perspektive* (თანამედროვეობის მედეა. მედეას მითის ფორმები და ფუნქციები ლიტერატურულ ტექსტებში 1945 წლის შემდეგ ინტერკულტურული პერსპექტივით) გაცნობას.

ევრიპიდეს „მედეას“ პოპულარობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი ინფორმატიული სისავსე. ტრაგედიის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უძღვოდა წინ პიესაში განვითარებულ მოვლენებს და რა მოჰყვება მათ. ეს პიესას ძალზე ლოგიკურ სისტემად აყალიბებს, ხოლო იმ მოტივების უნივერსალურობა (ანუ ყოვლისმომცველობა), რომელზედაც ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება, აყალიბებს მედეას ბინარული ოპოზიციის კაცთა მოდგმა/ქალთა მოდგმა ოპოზიციური წევრის (პატრიარქალური ზღვარგადასულობა) ნეიტრალიზატორად, ქალთა მოდგმის პროტაგონისტად-უნივერსალურ დრამატულ ფიგურად, რაც ტრაგედიის ახალ-ახალი ინტერპრეტაციის პროცესს ამოუწურავ შესაძლებლობებს უქმნის.

---

<sup>13</sup> Novak 1999

**ბიბლიოგრაფია:**

Brecht, Bertolt. 1993. "Die Medea von Lodz". In *Große kommentierte Berliner und Frankfurter Ausgabe*. Bd. 14 Gedichte: 240 f: Frankfurt am Main.

Clauss J. J. and S. I. Johnston, eds. 1997. "Corinthian Medea and Cult of Hera Akraia". In *Essays on Medea in Myth, Literature, Philosophy and Art*. Princeton, New Jersey.

Dunbabin, T. J. 1951. "The Oracle of Hera Akraia at Parachora". *ABSA XLVI*: 61-71

ევრიპიდე. 2017. *მედეა*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ. თბილისი: „ლოგოსი“.

Hederich, Benjamin. 1724. *Gründliches Mythologisches Lexicon*.

Hoffmann, Jörg. 2000. *Medeae Medea forem! Zur Euripidesrezeption Ovids in den Heroides*. Mainz.

Lütkehaus, Ludger. 2006. *Mythos Medea. Texte von Euripides bis Christa Wolf*, Stuttgart.

Novak, Helga M. 1999. Brief an Medea. *Gesammelte Gedichte*. Frankfurt am Main.

Onea, Cătălina Ene. 2017. *Medea der Gegenwart. Formen und Funktionen des Medea-Mythos in literarischen Texten nach 1945 in interkultureller Perspektive*. Berlin

Stern, Edward S. 1948. "The Medea Complex. The Mother's Homicidal Wishes to her Child". *Journal of Mental Science*, Bd. 94: 321-331

Strauss, S. 2016. *Schaut auf dieses Mythosweib. Die Wege ihres Wahnsinns sind unergründlich – dreimal „Medea“*. FAZ 29. 11: Duiburg, Wien und München,

West, M. L., ed. 1978. *Hesiod, Theogony. Commentary to Medea's place in this catalogue means that she is immortal*. Oxford

Rismag Gordeziani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

### **For the Universality of the Image of Medea in Euripides**

*Key Words: Medea, Jason, Euripides*

One of the reasons of the popularity of *Medea* by Euripides is its informativeness. After reading the tragedy, we learn what happened before the events unfolding in the tragedy and what will follow. This presents the play as one logical whole, while the universal character of the motifs (hard to defeat; Medea's direct relations with Helios and her magic powers; her acute sensitivity toward women's rights; aversion towards matrimonial breach; intolerance towards defiling the marriage bed; selfless love for her husband; assertion of her own dignity; filicide committed by Medea out of her rage over her husband; split between love for children and the lust for revenge; left without homeland) outlined in this speech, In this speech, formed MEDEA as invalidator of the opposing member (patriarchal overstepping of bounds) of the binary opposition mankind/womankind, as universal protagonist-dramatic figure of womankind, allows for an unlimited number of interpretations.